პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

„გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 191 (19833) ◆ სამშაბათი, 20 აგვისტო, 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

დავძლიოთ ჩამორჩენა, მივაღწიოთ მიზანს!

[illegible]

სკკპ XXVII ყრილობას — 27 დამკვრელური კვირა!

სკკპ XXVII ყრილობის შესასვლელად

[illegible]

ელექტრო-

გადამცემი ხაზი

მთეგში

მიაბიჯებს

[illegible]

საბჭოური ხასიათი

[illegible]

გულითადი მილოცვები

[illegible]

ზამთარს რომ ემზადებული შეგხვდეთ

[illegible]

საფეხბურთო ზეიმის მოლოდინში



[illegible]

საპიტალიო—საორტული დღესასწაული

[illegible]

მიწათმოქმედების მაღალი კულტურისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

30 ივნისს რესურსების დიდი უკუგების უზრუნველყოფის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების გარანტირებული მოსავლის მოყვანის კომპლექსური პროგრამა დაიხარა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXIV პლენუმზე. მასში მონაწილეობენ განიხილეს საქართველოს კომპარტიის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილი საკავშირო თათბირის მოთხოვნათა შესახებ ამისდა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების საქმეში.

სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

პლენუმზე გამოსულნა ორატორები: მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის პოზიციებიდან საფუძვლიანად გაანალიზეს დარგის განვითარების მდგომარეობა, გამოავლინეს არსებული ნაკლოვანებანი და ხარვეზები, დასახეს სასურსათო პროგრამის განხორციელების უმნიშვნელოვანესი ფაქტორის — მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების, მიმდინარე წლისა და მთელი მეთხრმეტე, ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების, საკმაოდ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრის კონკრეტული გზები.

დაჟეჟრდნოთ

გამოცდილებას,

გამოვიყენოთ

რეზერვები

I ბოლო დროს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მტკიცედ დაადგა სტაბილური განვითარების გზას. განუხრელად იზრდება პროდუქციის წარმოება და დაჭიდება, უფრაზესდება კვების პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგება. მეთერთმეტე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება საზოგადოებრივ სექტორში წინა ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეიდი ან პროცენტით გაიზარდა და 1,2 მილიარდ მანეთს გადაჰპარბა. რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა გადაიქცა მიწათმოქმედების მაღალი კულტურის სანარმოდ. მაგრამ ჩვენი მიწათმოქმედების კულტურის საერთო დონე ჯერ კიდევ მთლიანად არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და მნიშვნელოვნადაც კი ჩამორჩება მათ, თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **ვ. დ. ზვიადაძემ.** ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჩვენ არ ვიცით მიწის ფასი, ვერაფრით ვერ ვისწავლეთ მისი ოფლრთხილება. სწორედ აქ უნდა ვეძებოთ ყველა ჩვენი ნაკლისა და ხარვეზის შედეგები. რითი შეიძლება, მაგალითად, გავამართლოთ ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის 60 კოლმეურნეობასა და ს̆ საბჭოთა მეურნეობაში სამარცვლე კულტურების მოსავლიანობა წლითიწლით ან აღემატება ჰექტარზე 10 ცენტნერს? ანდა ავიღოთ ისეთი წამყვანი მებოსტნეობის რაიონები, როგორიც არის ბარნაული, ბარნეულის რაიონები, ქალაქ წყალტუბოს ზონა, რომლებიც ქრონიკულად ვერ აერთმევენ თავს ასორტიმენტების მიჩეფდით პროდუქციის წარმოებას. განა მიწათმოქმედების დაბალი კულტურის შედეგი არ არის ის შეუწყნარებელი გარემობა, რომ რესპუბლიკის 201 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ნაწილი სიფრაკე ძრობაზე შეადგენს მხოლოდ 1.000 კილოგრამს?

შეეძლო? ძმაე მდგომარეობის დაძლევა, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების ეროვნულ-საყოფაცხოვრებო შესაძლებელია მხოლოდ ინდუსტრიულ რელეგზე სოფლის მეურნეობის გადაყვანის, საწარმოო და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების, სოფლის სოციალური განვითარების გზით.

რაგორიც უნდა იყოს მატერიალურ-ტექნიკური საფუძველი, მიწათმოქმედების კულტურის გარდაქმნა წარმოდგენელია, თუ არ იქნება მტკიცე საწარმოო და შრომის დისციპლინა. ამ მიმართულებით ბოლო დროს ბევრი რამ კეთდება. ორატორმა განსაკუთრებით აღნიშნა საკოლმეურნეო ბაზრებში პირადი დამზმარე მეურნეობების ზედმეტი პროდუქციის რეალიზაციის მოგვარების საკითხი, ამასთან ,ხაზი გაუსვა, რომ ფაქტობრივად შეიქმნა იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებული სისტემა, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სოფლად შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხი უკვე გადაეჭრა. საჭიროა გავაღრმავოთ დაწყებული პროცესი იმ ვარაუდით, რომ მივაღწიოთ საჭიროებელი დისციპლინის დამყარებას თითოეულ უბანზე, რაც, თავის მხრივ, მიწათმოქმედების კულტურის შემდგომი ამაღლების კარგ პირობებს შექმნის.

აჭარის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციას, განსაკუთრებული კონტროლი დაწესეს ავტონომიური რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის განვითარებას. ამის მაგალითად საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ო. პაპაზიანემ** მოიყვანა სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციისათვის მუშაობა, რომელიც ფართოდ გაიშალა 1981 წლიდან, როცა მიღებული იყო პარტიის საოლქო კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის შესაბამისი ერთობლივი დადგენილება. მის საფუძველზე შემოქმედებითა და ინიციატივით ,ბარეულ ,ბარნეულ ,ბარნეულ ,ბარნ

ბარდაბანი-ულიანოვსკი: მეგობრობის გზები

ამ ეპოქის მეგობრობა აკავშირებთ ბარდაბნის რაიონისა და ულიანოვსკის ოლქის ახალგაზრდობას.

ერთი თვის განმავლობაში ულიანოვსკელები — პიონერიდან ხუთეული — ბარდაბნის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, აწყობდნენ საინტერესო ექსკურსიებს კიბეთის ღირსშესანიშნავ ადგილებში. მასპინძლობას ერთად მარიკა ფეტერი კონცერტებს, ულიანოვსკის ოლქში სპასუნო ვიზიტად გამგზავრა ავთანდილ ბარდაბნის და ნორიოს მოსწავლეთა დიდი ჯგუფი. უფროსკლასელები სკოლისკარიერე და კლასკარიერე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორის მარგარიტა ბაუკოვას და პედაგოგ ოთარ მამუკაშვილის მეთაურობით ბარეთიანენენ ულიანოვსკელი ახალგაზრდობის შრომისა და დასვენების რაზმში. ასანი იღებდნენ ხაკვეს ქარხანას, რაიონის შრომელთა ნინაზე ავანგარდის დიდი კონცერტი „ხალხთა ელოდიები და რიტმები“.

ბარდაბნის რაიონის დელეგაციი მიიღო ხკკ ულიანოვსკის ხალოქო კომიტეტის პირველი მდივანმა ვენიდი ეაბანინმა, რომელმაც დიდი ინტერესით გამოიკითხა, თუ როგორია რესპუბლიკის შრომელთა წარმატებები და გამოთქვა რწმენა, რომ ულიანოვსკის ოლქისა და ბარდაბნის რაიონის ახალგაზრდობის მეგობრობა სულ უფრო განმტკიცდება.

* * *

ხუროთმოძღვარი: ხკკ ულიანოვსკის ხალოქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. კოლბინი საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე.

გ. ზინოვიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეველა ხამუშაო კარგია — ბირჩიმ, რომელიც გნებავს!

ბალი გიგინეიშვილისა და ვახტანგ თოთიძის — თბილისის მოსწავლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის საქალაქო ბიუროს თანამშრომლებისთვის რესპუბლიკის დედაქალაქის უმაღლესს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში შემდეგ რამდენადმე შეიცვალა მათი ბუდმივი სამუშაოს „მიმართული“. ახლა ჩვეული მარშრუტის ნაცვლად დალი დადის უნივერსიტეტში, ვახტანგი კი — ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში. ათ ერთი შუბანი აქვთ — შეხვდნენ და ესაუბრონ ამბიტიონერებს.

...„ჩუმად! მიმდინარეობს გამოცდები“. — ასეთ გამაფრთხილებელი ფირფიტებს შეიძლება შეხვდეთ დღეს ყველგან, სადაც ამბიონარეობს მისაღები გამოცდები. გამოცდები... ზოგისთვის ეთ სიხარული მოაქვს, ზოგისთვის ი...

— რას ამბობ ახლა, ჭაბუკო? — ახალგაზრდისთვის, რომელიც, ჩაფიქრებული დგას დერეფანში, ამჯერად პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შესვლის ცდა მარცხით დამთავრდა.

— ვიმეცადინებ და ვიმუშავებ. ინსტიტუტიე მთავაზობს დახარებას, თქვა მან, და მიუთითა ბატარა განცხადებაზე.

— ეკითხენ: „ამბიტიონერებო! თუ კოხკუოსში ვერ გიმარჯვეთ, პროფესიის მიხედვით სამუშაოს არჩევაში დაგეხმარება ჩვენთან შექმნილი სპეციალური კომისია“. პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად აქ მუშაობის დროს მოეუსწარით ვახტანგ თოთიძესაც. დაგვეთანხმებით, აღვილი არ არის მისთვის ამ საქმის გაძღოლა. და, ალბათ, საჭიროა რეგიანი ფსიქოლოგიც იყო, რომ გამოცდის დამთავრებისთანავე ეიღლო ამბიტიონერთან შეხვედრისას შეძლო არა მარტო დაამშვიდო იგი, არამედ შეუმჩნეველად დაეხმარო კიდეც გადადგას პირველი შრომითი ნაბიჯი.

— ...მაშ, გადაწყვიტე მშენებელი გახდე, ეს კარგია. — ჩვენს ახლანდელ ნაცნობთან ვახტანგის ეს საუბარი მიმდინარეობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთ აუდიტორიაში, სადაც მუშაობს შრომითი მოწყობის კომისია. — ვფიქრობ, სწორადაც გადაგწყვეტია, მეტ სარგებლობას მოგიტანს, თუ ჯერ სადმე მშენებლობაზე იმუშავებ. ი რამდენი ახალშენებლობაა თბილისში. სპეციალობას, გამოცდილებას შეიძენ. მაგალითად, 14 ტრესტი საცხოვრებელ სახლებს ამენებს მუხიანში, ვარკეთილში. სპორტის სასახლე, სახელმწიფო ფილარმონიის შენობაც მათ ნაშუშეკარია. კოლექტივი იქ ერთსულოვანია. სოციალისტური შრომის მგრის ვალერიან ჭელიძის ბრიგადის შესახებ თუ გსმენია? ისიც იქიდანაა. წახვალ მასთან.

— მიმიღებენ?

—რატომაც არ მიგიღებენ. იქ ხალხი სჭირდებათ. სხვათა შორის, მისი ბრიგადის წევრების ნახევარი სტუდენტები არიან. მუშაობენ და სწავლობენ...

სწორ ტოხს მიაგნო მან-რამდენადმე სეედიან შეწუხებულ გოგონასთან საუბარში. იგი კომკავშირული საგზურით წავა კამეოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“. უყურადღებოდ არც მისი თანატოლი დატოვებიათ. თავის ოცნებას, ქიმიკოსი გახდეს, იგი განაბრაცეულებს. ამიტომ იმუშავებს ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში. სხვათა შორის, მარტო ამ ფაბრიკებსა და ქარხნებში როდი იმუშავებენ გუშინდელი სკოლის კურსდამთავრებულები. მათ დღეს ელიან ჩარხსაშენებელ და ვაგონშემკეთებელ, ფეხსაცმლისა და ტრიკოტაჟის, ავტოსარემონტო და საავიაციო სწავლობენში.

— ასეთი კომისიები შექმნილია დღეს რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელსა და ტექნიკუმში, თქვა დალი გიგინეიშვილმა. — და იცით, შრომითი მოწყობის ასეთი ფორმა მალიანად ამართლებს იმედებს. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენი მიმართვით ყოველწლიურად მარტო თბილისში სამუშაოს მოულობს ოთხი ათასზე მეტი ქალაშვილი და ჭაბუკი. როგორც ამასწინანდელმა შემოწმებამ ცხადყო, იმათგან, ვინც, მაგალითად, შარშან გავგზავნეთ გლდანის რაიონის საწარმოებში, თავიანთ სამუშაო ადგილებზე განაგრძობს შრომას 85 პროცენტი. ეს კი ნიშნავს, რომ კომისიამ თავისი როლი შეასრულა — ახალგაზრდობამ ითაოა ადგილი ცხოვრებაში.

ა. მურადელი,
(საქინფორმის კორ.).

ნავლობენ სამხედრო სპეციალობით

რაიონის სამხედრო კომისარიატი ოური თვეშიეგ გვითხრა, რომ ამჟამად საბჭოთა არმიის ორგანებში ლანჩხუთის საუნელო კოლეგის ალზრდილი ათობით ოფიცერი მსახურობს. ჩვენ ვეკამაყეთ პოდპოლკოვნიკების ალნი ფირცხალაშვილის, ბახვა ბალასანის, გურამ ჩაჩავას, მაორების ოთარ ფაცერიას, ლუდვიგ ხუხუნაიშვილის, ამირან ბაბანძის, კაპიტნების გიორგი ფაცერიას, რევაზ ჯიჯეიშვილის, ოური ორაგველიძის, ხერგო ბეგარაძის, უფროსი ლეიტენანტის ანდრია რიკას და სხვათა ბრძანებებები.

ანდრია რიკა 7 წლის წინათ ბახვა უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის კურსანტი, მას ემეფდგ ლანჩხუთელთაგან დიდ ბახას არავის აურჩევია სამხედრო სპეციალობა. ამიტომ ეგო, რომ შარშან ჩოჩხათის საუნელო სკოლის კურსდამთავრებულის ჯიმშერ ჯალაბაძის გადაწყვეტილებას ყველანი სიხარულით შეხვდნენ.

ჯიმშერი კიევის საავიაციო სამხედრო უმაღლესი სასწავლებლის კურსანტი გახდა. ჩაბარა თუ არა წლის პირველი ნახევრის გამოცდები, არადადების პერიოდში შინ ჩამოვიდა, სადაც მას მრავალი საინტერესო შეხვედრა ელოდა. დედასთან, ჩოჩხათის საუნელო სკოლის მასწავლებელ გუბეული ხუციშვილთან ერთად იგი მიიწვიეს ლესაში, აცანაში, სადაც ახალგაზრდა კურსანტი ესაუბრა უფროსკლასელებსა და მათს მშობლებს თავისი არჩევანის შესახებ, გაიცნო მათ უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში სწავლისა და ცხოვრების პირობები.

შემდგომ ჯიმშერ ჯალაბაძე გაწყობილების განყოფილების გამგე ბ. კუტალაშვილთან ერთად რაიონის თითქმის ყველა სკოლის მეათეკლასელ ვაჟებს შეხვდა, ამან ნაყოფი გამოიღო და ერთხელ კიდევ სარწმუნო გახდა პირადი მაგალითის ძალა. დღეს სამხედრო კომისრის მაგიდაზე 8 ლანჩხუთელი ახალგაზრდის განცხადება დევს. წყალწმინდელი გელა კაკაშვილი, გიორგი რამიშვილი, სუფსელი ბესიკ ბარამიძე, ნეკრი კვაჭაძე, ნიგოზეთის საშუალო სკოლის მოსწავლე ქართლის კალოიანი, ნიგვზიანის საშუალო სკოლის მოსწავლეები, თანრიგოსანი სპორტსმენები ივანე ავალიშვილი, გია ფოფხაძე, ზვიად პეტრიაშვილი სურეელ გამოთქვამენ სწავლა განაგრძონ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სამხედრო სასწავლებლში.

რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს შემოიღოს ფაკულტატივი ამ ახალგაზრდებისათვის, რათა გაიღრმავონ რუსული ენისა და იმ საგნების ცოდნა, რომლებიც სამხედრო სასწავლებელში დასჭირდებათ.

რაიონის სამხედრო კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს შეხვედრა მოუწყოს მომავალ კურსანტებსა და დიდი სამამული ომის ვეტერანებს. მათ ბევრი რამ ეკენჭათ ერთმანეთისათვის სათქმელი. სულ მალე მწყობრში ჩადგება ახალგაზრდობის სამხედრო პატრიოტული აღზრდის ოური კერა — კლუბი სამხედრო კომისარიატთან და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის სახლი ლესაში, რომელიც შინმოფულელი ჯარისკაცის კერაზე აშენდა.

ჟ. ნაკაშიძე,
ლანჩხუთის რაიონული გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი.

„პარტიული სიტყვა“ №15

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ მორიგი, მეხუთმეტე ნომერი.

„პარტიული ყრილობების შესახვედრად“, — ამ რუბრიკით დაბეჭდილია თ. ცინცაძის წერილი — ჩვენს ნახელავს რომ ფასი დაედოს, ხოლო რუბრიკით „ადამიანობის ბერკეტი“ გამოქვეყნებულია ი. ფრანგიშვილის — დროის სტრატეგია.

განყოფილებაში „პოლიტინფორმატორთა დასახმარებ ლ ა დ“ თქვენ გაეცნობით გ. გამსახურდიას წერილს — რა არის შემკვიდრეობითობა?

ჟურნალ-ალმანაკში განყოფილებები: „სიტყვა. — საქმიანი!“; „წერილი დამამთავრებელი, წელი შემხვედრი“; „შეკითხვას პასუხი უნდა გაეცეს“; „ეურნალის კრიტიკული გამოსვლის შემდეგ: გამოძახილი“; „ვეყოთ მომჭირნენი“; „ნუკერთმა“; „გვწერენ, შეინშნავენ, ამხილებენ“? „რა იციო თქვენ ამ საკითხზე?“; „ამ ტრიალ ქვეყანაზე“; „სხვა ეურნალ-გაზეთებიდან“; „ხუმრობა იქით იყოს“.

უცხოეთში

ფაქტების, მოვლენების, ადამიანების

19 აგვისტო ● საკდესი იუწყება

დაბრკოლება შევუქმნათ ბირთვულ იარაღს

დღითი დღე ძლიერდება მოძრაობა უბირთვო ზონების შექმნისათვის

ბირთვული იარაღის გავრცელების „გეოგრაფიის“ შეზღუდვა ბირთვული ომის საფრთხის შეკავების ერთ-ერთი ქმედითი, კონკრეტული გზაა, რომლისკენაც უკვე დიდი ხანია მოეწყოდებს საბჭოთა კავშირი. ბოლო მოვლენები მთლიანად ცხადყოფენ, რომ მსოფლიოს ფართო საზოგადოებრიობას და მრავალი ქვეყნის მთავრობებს სულ უფრო ნათლად აქვთ შეგნებული, რომ საკმარი და აქტუალურია ამ გზაზე რეალური ნაბიჯების გადადგმა. ასეთი ნაბიჯი შეიძლება გახდეს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში უბირთვო ზონების შექმნა, და მორიობა, რომელიც მხარს უჭერს პლანტებზე მსაობრივი მოსპობის საშუალებათა გავრცელების აღმოფხვრის იდეას, ახლა შესაძლებელად იკრეს ძალას. მაგალითად, უმიშრების, განიარაღებისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილმა საერთო აფრიკულმა კონფერენციამ, რომელიც ახლახან დამთავრდა ტოგოს დედაქალაქ ლომეში, მტკიცედ დაუჭირა მხარი ბირთვული იარაღისაგან თავისუფალ ზონად მთელი აფრიკის კონტინენტის გამოცხადებას. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას, ვინაიდან სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმი არ მალავს თავის ბირთვულ ამბიციებს. პრეტორიის მმართველებს ძალზე სურთ, რომ „ატომური ხელკეტი“ შეამაგონ თავიანთ ახლადელ საკმაოდ მდიდარ სამხედრო არსენალს, რომელსაც ისინი მუდამ იყენებენ ქვეყნის შიგნით განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობისა და მეზობელ აფრიკულ სახელმწიფოებზე ზეგავლენისათვის.

ასეთი ამბიციების განხორციელება ნამდვილ ტრაგედიად იქცევა აფრიკისათვის, თუ გავითვალისწინებთ სამხრეთ აფრიკის აპარტეიდის რეჟიმის არადამიანური ხასიათს. ამასთან პრეტორიის ამბიციებს აქტიურად უმაგრებენ ზურგს შეერთებული შტატები და ნატოს სხვა სახელმწიფოები. აფრიკაში კარგად იციან, რომ უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დასავლეთ გერმანიამ შეიტანეს გადამწყვეტი წვლილი კონტინენტის. სამხრეთ ნაწილში ბირთვული მრეწველობის შექმნაში.

დედამიწის მეორე მხარეს — კუკის კუნძულებზე — ერთი კვირის წინათ დამთავრდა წყნარი ოკეანის სამხრეთ-ნაწილის ქვეყნების ფორუმის მორიგი სესია, რომელმაც მოიწონა ხელშეკრულება რეგიონში უბირთვო ზონის შექმნის შესახებ.

და ბოლოს, კიდევ ერთი ასეთი ცნობა. ოსლოში გამართა შვიდობის მომხრეთა მასობრივი შეხვედრა ლოზენგებით „არ გვსურს ბირთვული იარაღი!“, „მხარს ეუჭერთ უბირთვო ჩრდილოეთს!“, „მხარს ეუჭერთ უბარაღო და უომო მსოფლიოს!“. ამ მანიფესტაციის აურადღების ცენტრშია აგრეთვე მოთხოვნა — უბირთვო ზონად გამოცაცხადონ ჩრდილოეთ ევროპა.

ამ სამივე ფორმის მიზანს, თუმცა ისინი მიმდინარეობდნენ დედამიწის ერთმანეთისაგან მრავალი ათასი კილომეტრით დაშორებულ რეგიონებში, და ერთიდაიგივე მომხრეები და ერთი და იგივე მტრები ჰყავს. საბჭოთა კავშირი მხურვალედ მიესალმება ფორუმების გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია ბირთვული საფრთხის შემცირება, ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც გაიუმჯობესებენ პოლიტიკურ კლიმატს მსოფლიოში. სსრ კავშირი ასეთ პოზიციას თანამიმდევრულად ადგას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიებზე საბჭოთა დელეგაციი მუდამ მხარს უჭერდა უბირთვო ზონების შექმნას, სამე ეხებოდა აფრიკას, ახლო აღმოსავლეთსა თუ სხვა რეგიონებს. უფრო მეტიც, სსრ კავშირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იყო საერთაშორისო კონვენციის პროექტის ავტორი, რომელიც ითვალისწინებს მკაცრი გარანტიები მიენიჭოს სახელმწიფოებს, რომლებსაც არა აქვთ ბირთვული იარაღი.

საწინააღმდეგო მიზნით და ასეთივე დაფინებით მოქმედებდა შეერთებული შტატებიც. ვაშინგტონში აშკარად მტრულად ხვდებიან უბირთვო ზონებს. შექმნასთან დაკავშირებულ ყველა იდეას. ასეთი ზონები ხომ გარკვეულ შეზღუდვებს უქმნიან ამერიკის მხედრიონის ბლოგლალურ აქტიურობას. ამერიკაში დიდი ხანია აქსიომად მიიჩნიეთ ყველაფერი, რაც ეხება პენტაგონისათვის, ცუდია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, და დაუყოვნებლივ ანთქმას ატეხენ თავს ყველა ნაბიჯს, რომელიც ხელს უშლის ბირთვულ ეკსპანსიას. უბირთვო ზონების განმტკიცებასა და დამკვიდრებას ამერიკელი მილიტარისტები ხელს ვერ შეუშლიან. იგი სულ უფრო და უფრო მეტ მომხრეს იძენს.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲡᲐᲐᲗᲘ

ტელეტაიპის ლენტიდან

ᲐᲕᲓᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

◆ **ᲥᲐᲠᲬᲚᲘᲗ ᲨᲔᲠᲬᲘᲛᲘᲗ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲐᲕᲓᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲐᲑᲛᲚᲘ.** კომპლექსში შედის საკუტო და კინოსაკონცერტო დარბაზები, მუსიკალური სალონი და თვითმოქმედი თეატრის სტუდია, მუდმივი სამხატვრო გამოფენა და ბავშვებთან მუშაობის ცენტრი, ბიბლიოთეკა, ლიტერატურული კლუბი და ოთახები მრავალრიცხოვანი წრეებისათვის. მის აგებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა მუშებმა.

„ᲚᲐᲓᲐ“ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ

◆ **ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ.** თურქეთის გზებზე უახლოეს დროს გამოჩნდება საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი „ლადა“, რომელმაც პოპულარობა მოიპოვა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. როგორც გაზეთი „ჰურიეთი“ იუწყება, ამას წინათ ხელმოწერილი კონტრაქტის შესაბამისად საბჭოთა კავშირი თურქეთს გაუგზავნის ამ ავტომობილების დიდ პარტიას. თურქ ავტომოყვარულებს „ლადა“ იზიდავს საიმედოობით და დიდი გამავლობით, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი.

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

◆ **ᲒᲝᲜᲘᲜᲘ.** შეერთებული შტატების თითოეული მცხოვრები ყოველწლიურად 1500 დოლარს იხდის პენტაგონის მილიარდატული მშიდებისათვის. ეს ნიშნავს, რომ გადასახადების სახით ფედერალურ ბიუჯეტში შესული სახსრების თითქმის ორი მესამედი ხმარდება ომისათვის მზადებას. ეს განაცხადა გაზეთ „მანჩიტი დეილი ნიუსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ცნობილმა ამერიკელმა ადვოკატმა ულიამ დარლენდმა.

ᲡᲐᲞᲐᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲚᲔᲑᲘᲡ ᲢᲐᲚᲦᲐ

◆ **ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ აფრიკელთა უმრავლესობის სპოროტსტო გამოსვლები კვლავ მოედო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რაიონების უმრავლესობას. დემონსტრანტთა შეტაკებანი პოლიციასთან, რომელმაც ცეცხლსასროლი იარაღი და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა, მოხდა იოჰანესბურგის ბესალეს. გარეუბანში, ზველუნტემბსა და ეორჩესტერში (კაპის პროვინცია), აგრეთვე სხვა რაიონებში.

მილიონები — ძირგამომთხრელ „ხმეს“

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. მასირებული ფსიქოლოგიური ომი, რომელსაც ვაშინგტონი სოციალიზმის და განვითარებადი ქვეყნების წინააღმდეგ წარმოებს, სულ უფრო ფართო მასშტაბს იძენს. პრეზიდენტმა რეგანმა ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს მომავალ 1986 საფინანსო წელს შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოსათვის (იუსია) — ვაშინგტონის ძირგამომთხრელი პროპაგანდის მთავარი ოფიციალური უწყებისათვის უზარმაზარი თანხის —887,9 მილიონი დოლარის გამოყოფას.

როგორც პრესა აღნიშნავს, რეგანის ადმინისტრაციის მმართველობის პერიოდში ვერც ერთი სხვა ფედერალური უწყება ვერ შეედრება იუსიას თავისი საპროპაგანდისათვის ასიგნებათა ზრდის ტემპით.

მარტო იუსიას გამგებლობაში შემავალი ძირგამომთხრელი რადიოსადგურის „ამერიკის ხმის“ ტექნიკური მოდერნიზაციისათვის „კანონპროექტით გათვალისწინებულია 136,5 მილიონი დოლარის გამოყოფა. „მოდერნიზაციის“ მთავარი მიზანი, რომელსაც ხუთ წელიწადში მილიარდზე მეტი დოლარი მოხმარდება, არის სიმძლავრისა და სხვა ქვეყნებისათვის მაუწყებლობის მოცულობის არსებითი გაზრდა.

საგრძნობლად აქტიურდება რადიოდივერსიები სუვერენული კუბის წინააღმდეგ. მომავალ საფინანსო წელს 11,5 მილიონი დოლარი გამოიყოფა ამას წინათ ამოქმედებული ანტიკუბური რადიოსადგურის საქმიანობისათვ ი ს.

განზრახულია აქვთ აგრეთვე გაადგარეთონ ძირგამომთხრელი საქმიანობა ავღანელი ხალხის წინააღმდეგ.

დივერსიული რადიოცენტრის საპროგრამისათვის, რომელიც მალე დაიწყებს გადაცემებს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, მომავალ საფინანსო წელს დაიხარჯება 500 ათასი დოლარი.

პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი კანონპროექტი ითვალისწინებს მშვიდობისა და სოციალიზმის ძალების წინააღმდეგ ამერიკის გლობალური ideologიური დივერსიის — „უბადოლებული“ დემოკრატიისა და საჯარო დიპლომატიის პროგრამის არსებით გაფართოებას. ამ პროგრამის განხორციელებელი მთავარი ორგანო ეგრეთ წოდებული „დემოკრატიის ხელშემწყობი ეროვნული ფონდი“, რომელსაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აკონტროლებს, 18,4 მილიონ დოლარს მიიღებს.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

დიდად უკვირთ იაპონიაში პირუტყვი, მაგრამ ოდითგანვე ყველაზე მეტად პოპულარული ქვეყანაში ცხენი. იგი იაპონელებისთვის ერთგულების, შეუბრალებლობისა და ძალის სიმბოლოა. იდუმალის ამ ოთხფეხა თანაშემწისა და მეგობრისადმი დიდი პატივისცემა თავისებური კარნავალის „ტიკეუტიკეუ უმაოს“ მონაწილეობაც გამოიხატება, რომელშიც მრავალი ცხენი და მისი პატრონი მონაწილეობს. კარნავალის ცენტრალური ღონისძიებაა ოკატის პრეფექტურის ეზოს ტრადიციულ კოსტიუმებში გამოწყობილი მონაწილეების სანეიმო ხელა.

სურათზე: „ტიკეუ-ტიკეუ-უმაოს“ საკარნავალო ხელა ოკატის პრეფექტურაში.

ᲯᲣᲞᲘᲢᲔᲠ ᲞᲠᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ფოტო.

ᲛᲐᲓᲐᲒᲐᲡᲙᲐᲠᲘ

„ᲜᲣᲛᲐ“ — ტრადიციული ხალხრავალი ბაზარი — დედაქალაქ ანტანანარივოში ყოველ კვირის პარასკევს ეწყობა. ქალაქის ცენტრში, დამოუკიდებლობის კვნიერ პროსპექტზე მსუბუქ ფარფლებში, შეტენილად კი პირდაპირ ქუჩებისა და ეზოებში ნაირ-ნაირეული ოსტატთა ნაკეთობანი — ძვირფასი ქვები და სანელებლები, ვეზოტიკური ხილი და ძვირფასი ჯიშის ხისაგან დამზადებული ათასნაირი ნაკეთობები, მთის ბროლი და ახალი მოსტაფელი.

სურათზე: ბაზრობის დღე.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ფოტო.

ბრალი ედებათ ჯაშუშობაში

ლუანდა. აქ დაიწყო სასამართლო პროცესი იმ პირთა ჯგუფის საქმის გამო, რომლებსაც ბრალად ედებათ ჯაშუშობა რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სასარგებლოდ. როგორც ანგოლის ეროვნული რადიო იუწყება, ეს ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა მოქალაქე ამილკარ ფერნანდეზ ფერეირე, გაუფენდლეს უმიზროების ძალებმა გასული წლის სექტემბერში.

როგორც გამოძიების დროს გამოირკვა, ოთხი წლის წინათ პრეტორიის სპეცისამსახურების მიერ დაქირავებული ა. ფერეირე ჯაშუშური ხასიათის ცნობებს აწვდიდა სამხრეთ აფრიკის დაზვერვას. მისი ჯგუფის დახმარებით პრეტორიის დივერსანტებმა მოიწყვეს აფეთქებები ქალაქ ლობიტუს საარკინიგზო მოწყობილობის საწყობში და ორ ხომალდზე ლუანდის საზღვაო ნავსადგურში.

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲐᲜᲘ-ᲣᲚᲘᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘ: ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲠᲝᲚᲘ

ᲑᲐᲮᲢᲐᲠᲘᲡ-ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲥᲐᲑᲣᲚᲘ. რაც უფრო ფართოვდება ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ იმპერიალიზმის და რეაქციის გამოუცხადებელი ომის მასშტაბი, მით უფრო ცხადი ხდება ის ფაქტი, რომ ამ ომის მთავარი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ამერიკის შეერთებული შტატებია. ვაშინგტონი და მისი ნატოელი მოკავშირეები, იტყობინება ბახთარის საააგენტო, ავღანეთის რევოლუციის წინააღმდეგ ახორციელებენ ძირგამომთხრელი საქმიანობის მასირებულ პროგრამას, რათა არ დაუშვან ავღანეთში სახალხო ხელისუფლების განმტკიცება, შეინარჩუნონ დამპყრობლობა ქვეყანაში და მის გარშემო.

ყველაზე მოკრძალებული გამოანგარიშებითაც კი, წლეულს ამერიკის შეერთებული შტატების მარტო ოფიციალურმა დახმარებამ პაკისტანისა და ირანის ტერიტორიაზე მოკალთებული კონტრრევოლუციონერებისათვის 250 მილიონი დოლარი შეადგინა. მომდევნო საფინანსო წელს იგი უკვე 600 მილიონს მიაღწევს. დაახლოებით 100 მილიონ დოლარს აწვდიან დუშმანებს ყოველწლიურად ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს არხებით, რომელიც კოორდინაციას უწევს ნატოს ქვეყნების, ისრაელის, პაკისტანისა და სხვა სახელმწიფოების სპეცისამსახურების ანტიავღანურ ხრიკებს. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზე შექმნილ ბანაკებში ცენტრალური სადაზვერო სამმართველოს პროგრამით და მისი უშუალო კონტროლით ავღანელ ბანდიტებს ასწავლიან ყველაზე თანამედროვე იარაღისა და აღჭურვილობის გამოყენებას, რომელსაც მათ იგივე ვაშინგტონი აწვდის სხვადასხვა გზით.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ ᲔᲥᲔᲑᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ

ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲘ. ისრაელის ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ კატასტროფულად უარესდება. ისრაელის მთავრობა ეძებს გამოსავალს მძიმე კრიზისიდან, რომელსაც ქვეყანა განიცდის, და ამისთვის ხურავს სამრეწველო საწარმოებს, სკოლებსა და საავადმყოფოებს, რადგან ისინი, როგორც ამტკიცებს ოფიციალური თელ-ავივი, დამატებითი ტვირთია ეკონომიკისთვის. ამის შედეგად ისრაელში სწრაფად იზრდება უმუშევრობა. „ზედმეტ ადამიანთა“ არმიამ უკვე 200 ათასს გადაჯარა და მი ნიჭეზე ეფიცება ფიფლ ბერეგოვოი ეროვნული ბანკის ეროვნული ბანკის ეროვნული ბანკის

მეგობროვნისა და ძმოვნის ნიშნით

ფალკის რაიონის კუშჩის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე ბრიგადამ თავის შემადგენლობაში ჩარიცხა ოპერის სახელგანთქმული მომღერალი პაატა ბურჭულაძე. ახალი გვარები შეემატა რაიონის სხვა შრომითი კოლექტივების სიებსაც, რომლებიც შეავსეს გასულ კვირას გამართულ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულ „თრიალეთობაზე“ არჩეულმა წარმომადგენლებმა, ეროვნული ანსამბლის სპორტიანი მოქალაქეებმა.

მეგობრულად, ძმურად, ერთიან ოჯახად ცხოვრობენ და მხარდამხარ შრომობენ ამ მთის რაიონში ბერძნები და სომხები, აზერბაიჯანელები, და ქართველები, რუსები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. მათი შეკავშირებისა და მეგობრობის ახალი ნათელი გამოვლინება გახდა სახალხო დღესასწაული „თრიალეთობა“, რომელიც უკვე მეხუთედ მოეწყო. დღესასწაულზე წალკელებმა მიიწვიეს თავიანთი დიდი ხნის მეგობრები რესპუბლიკის მეზობელი რაიონებიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან, წარჩინებული თანამემამულენი, რომლებმაც ასახელეს თავი და მშობლიური მხარე. ხალხმრავალი დღესასწაულის სტუმრებს შორის იყვნენ ავრეთვე რესპუბლიკის, მისი დედაქალაქის შრომითი და მემოქმედებითი კოლექტივების წარმომადგენლები, რომლებიც ეხმარებიან ამ მაღალი მთის მხარის მცხოვრებლებს მის გარდაქმნაში.

აქ ყველგან ჩანს სიახლის ნიშნები. რაიონულ ცენტრში გადის თბილისი-მარაბდა-ახალქალაქის ელექტრიფიცირებული რკინიგზის მგზავრული მატარებელი, გაცელილი უფრო ბარიქიანი გახდა მინდვრები და საძოვრები, აშენდა ახალი საცხოვრებელი სახლები, ფერმები და ქარხნები. ახალშენებლობათა შორის არის მოზარდი თაობის იდეოლოგიური, სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის კომკავშირულ-ახალგაზრდული ცენტრიც. სწორედ აქ, ტყის პირას, დიდ მდელოზე, წყალსაცავის მახლობლად გადმონაცვლა დღესასწაულმა მას შემდეგ, რაც მისმა მონაწილეებმა გვირგვინებთა და ყვავილების გირლანდებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი და ფილა სამამულო ომში დაღუპულ წალკელთა მონუმენტი.

უფროს თაობათა რეპრეზენტანტი, ალბერტოლ ოთარ ბერიძე, ეროვნული ანსამბლის „ალვასა“ და „ბოლოდ“ ანსამბლის ხელმძღვანელი, ბ. ბ. ბ. ... ენერგიას ამრავლებს ინტერნაციონალური მეგობრობა. ამის მრავალრიცხოვანი მაგალითი მოიყვანეს სადღესასწაულო მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა.

მიტინგის შემდეგ კი აღიღერდა მუსიკა, სამღერები, დაიწყო ცეკვა-თამაში, შეჯიბრებები სპორტულ მოედნებზე.

(საკინფორმი).

მთავარი ჯილდოები მოსკოვში დარჩა

ევროპის თასის გათამაშების ისტორიაში უბრალოსობა აშკარად გდრ-ის სპორტსმენთა მხარეზეა. ამ ქვეყნის მძლეოსანმა ქალებმა, დაწყებული 1970 წლიდან, ზედიზედ შეიდჯერ მოიპოვეს მთავარი ჯილდო — „ვერცხლის გოგონა“. ექვსჯერ დაიმსახურეს გდრ-ის სპორტსმენებმა „ფლორენციული ფიალა“ — ვაჟთა შეჯიბრებაში გამარჯვებული ნაკრებისათვის დაწესებული პრიზი. ამ პოპულარულ ასპარეზობაში საბჭოთა სპორტსმენები შედარებით ნაკლები წარმატებით გამოდიოდნენ. „ვერცხლის გოგონა“ აქამდე ორჯერ ესტუმრა მოსკოვს, ხოლო „ფლორენციული ფიალა“ — სამჯერ, ამასთან, უკანასკნელად ეს ჯილდო ჩვენს მძლეოსნებს 1973 წელს ხვდათ.

სწორედ ამიტომ, საბჭოთა მძლეოსანთა წარმატება ევროპის თასის მეათე გათამაშებაში, როგორც 17-18 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა, სასიამოვნო მოულოდნელობად უნდა მივიჩნიოთ. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ევროპის რვა-რვა უძლიერესმა გუნდმა ისასპარეზა, მაგრამ თავიდან-ბოლო არავის ეეჭვებოდა, რომ მთავარი პრიზები კვლავ გდრ-ის სპორტსმენებს ან მასპინძლებს დარჩებოდათ. ვარაუდი გამართლდა, მაგრამ ორდღიანი ბრძოლის თითქოსდა ლოგიკურ შედეგს მაინც სენსაციის იერი დაკარგდა. ამაში „ბრალი მიუძღვით“ საბჭოთა მძლეოსან ქალებს, რომლებმაც თითქმის შეუძლებელი შეძლეს: 125 ქულა მოაგროვეს და 7 ქულით ჩამოიტოვეს ძირითადი მეტოქეებები. მათმა თანაგუნდელმა ეკატერინე ანდრეევამ ... ...